საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აჭარის წყლის ჰიდროელექტროსადგური

აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგური „აწჰესი“, (შპს), აშენებულია ქედის მუნიციპალიტეტში მდ. აჭარისწყალზე;

სადგური ამუშავდა 1937 ოქტ-ში. მისი საპროექტო დადგმული სიმძლავრეა 16000 კვტ, ელექტროენერგიის საშ. წლ. გამომუშავება – 1030, მლნ. კვტ.სთ, დადგმული სიმძლავრის გამოყენების კოეფიციენტი – 0,84, წყლის ხვედრითი ხარჯი 1 მეგვტ დადგმულ სიმძლავრეზე – 3, 15 მ 3/წმ, მაქს. დაწნევა – 47 მ.

ა. ჰ. დაკავშირებულია საქართვ. ენერგოსისტემასთან 110 კვ გადამცემი ხაზით. „აწჰესი“ მთლიანად ავტომატიზებულია. 2006-იდან შედის შპს „ენერგო-პრო-ჯორჯიას“ შემადგენლობაში. მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს (მლნ.კვტ-სთ): 1955 წ.–67,5; 1960 წ. –84,3; 1965 წ.–92,2; 1970 წ.–98,5; 1975 წ.–88,4; 1980 წ.–79,9; 1985 წ.–59,4; 1990 წ.–63,1; 1995 წ.–68,9; 2000 წ.–50,3; 2006 წ.–70,9; 2010 წ. –43,6; 2015 წ. –58,9; 2018 წ. –89,3; 2019 წ.–77,5.

დ. ჩომახიძე